შპს „იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფსა“ და

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს

შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ, თბილისი 24 ნოემბერი 2022 წ.

შპს „იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფი“ (ს/კ 406294362), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ქევხიშვილის სახით (პ/ნ 01017047264) და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (ს/კ 206046045), წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყავრელიძის, სახით (შემდგომში „მხარეები“), ერთობლივი ინიციატივების განსახორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გრემობებეზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორისურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2.მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერეესების სფეროში შემავალ აქტუალურ სახითხებზე თანამშრომლობა ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, რესურსების (მათ შორის, ინტელექტუალური და ტექნიკური) გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების ხელშეწყობის გზით.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება; საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

3.2 პროფესორების, ტრენერებისა და ექსპერტების ჩართვის უზრუნველყოფა მხარეთა მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში;

3.3 ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას);

3.4 თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერა;

3.5 მხარეთა ანალიტიკური წარმომადგენლების ჩართვა;

3.6 საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთბლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;

3.7 სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლებამოსილებანი

4.1 მხარეებს უფლება აქვთ ერთბლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისათვის.

4.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოიყენონ მეორე მხარის სარგებლობაში არსებული მემორანდუმის საგანთან დაკავშირებული ტესტები და შესაბამისი ელექტრონული პროგრამები, აგრეთვე კუთვნილი ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების ეგზემპლარები.

4.3 იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფი უფლებამოსილია წინასწარ განსაზღვრული ცხრიის მიხედვით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ტრენინგ-კურსები ჩაატაროს წინასწარ უცვლელად განსაზღვრულ ადუტიტორიებში.

4.4 თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ყველა ტრენინგ-კურსში, რომელიც ჩატარდება თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში დაასწროს მისიეე ნებით წინასწარ განსაზღვრული 10 სტუდენტი.

4.5 თბილისის ჰუმანიტარული სასსწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მისი ინიციატივით შესთავაზოს იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფს უნივერსიტეტის

ლექტორები ჩართოს იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის სასწავლო კურსებში, როგორც ლექტორები.

4.6 თავის მხრივ იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფი უფლებამოსილია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორები წინასწარ განსაზღვრული საკითხების განსახილველად მოიწვიოს და ჩართოს მის მიერ დაგეგმილ შეხვედრებზე მოწვეულ სტუმრად.

4.7 თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის გადამღები/მემონტაჟე ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით.

4.8 თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მის იურიდიულ კლინიკებში მოიწვიოს იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის პერსონალი.

4.9 თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია გარე კლინიკაში მუშაობის სახით წინასწარი შეთანხმებით მაღალი მოსწრების 10 სტუდენტი გაგზავნოს იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის პრაქტიკებზე.

5. ფორსმაჟორი

მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნეს განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ამასთან, ამ მხარემ მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით;

6.2 მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდალური დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6.3 კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდალური დღით ადრე წერილობით შეტყობინების საფუძველზე.

6.4 მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობის ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

7. **კომუნიკაციის ფორმა. მემორანდუმის ეგზემპლარები**

7.1 მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით ფორმით (ფოსტის, სატელეფონო ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

7.2 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

გიორგი ქევხიშვილი

იურისტ-ფსიქოლოგთა ჯგუფის

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

რუსთავის გზატკეცილი #10

თბილისი, საქართველო

ტელ (+995) 597 79 78 67

ელ. ფოსტა: lawerpsycologistgroup@gmail.com

ვალენტინა საყვარელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტის რექტორი

ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 31

თბილისი, საქართველო

ტელ: (+995) 577 77 80 24

ელ. ფოსტა: lika.chig@yahoo.com